ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №291

(ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT230024002)

ქ. მარნეული *„ 20“ „დეკემბერი" 2023 წელი*

***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი **მერის კენან ომაროვის სახით,** და, მეორეს მხრივ, **შპს ჯითი ჰოლდინგი „** ს/კ **443859834,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი **დირექტორის გიორგი ხოტივრიშვილის,სახით,** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:*

1. *გამოყენებული ტერმინების განმარტებები*

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. *ხელშეკრულების საგანი*

2024 წლის დადგომასთან დაკავშირებული საშობაო-საახალწლო ნაძვის ხის ანთების სადღესასწაულო ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (CPV 799 00000 – სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები / CPV 799 52000 - ღონისძიებების ორგანიზება)

3. *ხელშეკრულების ღირებულება*

*3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **76 646.90 (სამოცდათექვსმეტიათას ექვსასორმოცდაექვსი ლარი და 90 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.***

3.2. გასაწევი მომსახურების მოცულობა / რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია - დანართი N2 - / ფასების ცხრილში-ხარჯთაღრიცხვაში, რომლებიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

*3.3. **ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.***

*3.4. დაფინანსების წყარო – **2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.***

4. *მხარეთა ვალდებულებები:*

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

*4.1.1. განახორციელოს შესყიდვის ობიექტის **მიწოდება დანართი N2 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, <u>შემსყიდველთან შეთანხმებით 2023 წლის დეკემბრის თვის მეორე ნახევარში</u>** შემდეგ **მისამართზე: ქალაქ მარნეულში;***

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

*4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:***

4.2.1. *უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;*

4.2.2. *განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.*

5. *გარანტია*

5.1. *მომსახურება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით; მომსახურების გაწვისას შემსყიდველის მხრიდან მოხდება გაწეული მომსახურების ხარისხის ადგილზე შემოწმება.*

5.2. *გაწეული მომსახურების ყველა დეტალზე, ნებისმიერი სახის პრობლემების აღმოფხვრა (საჭიროების შემთხვევაში უხარისხო მომსახურების ჩანაცვლების გზით) უნდა განახორციელოს დაუყოვნებლივ, შეტყობინების მიღებიდან მყისიერად, გამონაკლისის შემთხვევაში დასაბუთებულად მინიმალურ გონივრულ ვადაში (შემსყიდველთან შეთანხმებით).*

5.3. *მომსახურების შეცვლა ახლით, ხარვეზის / წუნის გამოვლენისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით ან ბუნებრივი გარეშე პირობებით.*

6. *ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება*

6.1. *შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი / ინსპექტირება ან/და შეამოწმოს მომსახურება, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.*

6.2. *კონტროლს განახორციელებს* ***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი ელგუჯა კუპატაძე (არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებელი), და, ამავე განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპეციალისტი ნინო კირვალიძე, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირების განხორციელება, როგორც ერთობლივად, აგრეთვე ინდივიდუალურად.***

6.3. *მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების შეცვლა / ჩანაცვლება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.*

7. *მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი*

7.1. *მომსახურების მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.*

7.2. *შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილია* ***მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი ან / და დროებით მოვალეობის შემსრულებელი და ამავე სამსახურის კურატორი, მერის მოადგილე - თემური შუბითიძე რომელთაც შეუძლიათ მიღება-ჩაბარების განხორციელება, როგორც ერთობლივად, აგრეთვე ინდივიდუალურად.***

8. *ანგარიშსწორება*

8.1. *ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;*

8.2. *ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.*

8.3. *ანგარიშსწორების ვადა –* ***მიღება–ჩაბარების აქტის (მომსახურების მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.*** *თუკი ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.*

8.4. *ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შემთხვევაში ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება შემსრულებლის მიერ პირგასამტეხლოს შესაბამისი რაოდენობის თანხის გადახდის შემდეგ, გადახდიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.*

8.5. *შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.*

9. *ხელშეკრულების შესრულების შეფერხება*

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების **4.1 პუნქტის 4.1.1 დანართით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვანი (დანართი N2 ფასების ცხრილი /ხარჯთაღრიცხვაში) ში განსაზღვრული რომელიმე კომპონენტის დარღვევისთვის / სათანადო ხარისხით შეუსრულებლობა) შესრულებისათვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით.**

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. საქართველოს **სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში,** ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია **ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.**

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ფორს–მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. ინტერესთა კონფლიქტი

*15.1. ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,** მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ ელექტრონული ტენდერის შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან -**შპს „ ჯითი ჰოლდინგი“** – თან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.*

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

*16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 01 მარტის** ჩათვლით.*

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149;
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73
ელ-ფოსტა:municipalitymarneuli@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები:

მომსახურე ბანკი:სახელმწიფო ხაზინა
ბანკი / ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. Ns.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

მიმწოდებელი:

შპს „ ჯითი ჰოლდინგი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 443859834
მისამართი: ქ . თბილისი დემეტრე თავდადებულის 54
ტელეფონი: 598 55 65 99
ელ-ფოსტა: gio.khoti@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: თი ბი სი ბანკი
ბანკი / ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. Ns.ა GE68TB7654436080100003

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი:

_____ კ .ომაროვი

MARNEULI MUNICIPALITY
Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2023.12.20 09:53:54 +04'00'

შპს „ ჯითი ჰოლდინგი“

_____ ლი

Giorgi Khotivrishvili 57001049348
Digitally signed by Giorgi Khotivrishvili
Date: 2023.12.20 11:26:30

მხარეთა მიერ გამოყენებულია კვალიფიციური / ელექტრონული ხელმოწერები